

მობილობა - სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა

მობილობის უფლება აქვს სტუდენტს სწავლების 1 წლიანი პერიოდის დასრულების შემდგომ. (კრედიტების დაგროვება არ არის სავალდებულო).

მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის აქტიური ან შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი.

მობილობით სარგებლობის მსურველმა სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია მობილობის ელ. პორტალზე www.students.eqe.ge ; დადებითი პასუხის შემთხვევაში სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და წარუდგენს მას პირადი საქმის ასლებს.

პირადი საქმის ასლებს სტუდენტი გამოითხოვს სკოლის შესაბამისი პროგრამის კოორდინატორისგან .

სტუდენტი გაეცნობა მიმღები უსდ-ს მიერ აღიარებულ კრედიტების რაოდენობას და წერილობითი განცხადებით ადასტურებს თანხმობას ან უარს მობილობაზე.

შიდა მობილობა - სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

შიდა მობილობის უფლება სტუდენტს ეძლევა პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ;

შიდა მობილობის მსურველი სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის პროგრამიდან (UMS) წერს განცხადებას შიდა მობილობასთან დაკავშირებით.